სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

28/04/2026

MES 5 26 0000497633

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 90-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2013 წლის 9 სექტემბრის, №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, მე-14 მუხლის, მე-6-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, ლევან ფიფიას 2026 წლის 06 აპრილის MES 4 26 0000411438 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.ჩატარდეს სტუ-ის სტუდენტთა 90-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2026 წლის 5 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით;
2.კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა ონლაინ რეგისტრაცია განხორციელდეს ვებგვერდზე https://studconf2026.gtu.ge 2026 წლის 4 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით;
3.ნაშრომების წარდგენა შესაბამის ფაკულტეტზე, სათანადო სექციის ხელმძღვანელ პირთან განხორციელდეს 2026 წლის 11 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით;
4.კონფერეცნიის გახსნის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 4 ივნისი;
5.დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს და აკადემიური დეპარტამენტების უფროსებს კონფერენციის დებულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება;
6.დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის კოორდინატორებს და სექციის ხელმძღვანელებს დებულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება;

7.კონფერენციის დახურვის ღონისძიება გაიმართოს 2026 წლის 10 ივლისს;
8.დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 90-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი №1);
9.კონფერენციის ორგანიზება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს;
10.კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების თეზისების კრებულის გამოცემა, კონფერენციაში გამარჯვებული და მონაწილე სტუდენტებისთვის სერტიფიკატების დამზადება/გაცემა დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს;
11.ბრძანება და მისი დანართი (კონფერენციის დებულება) განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას;
12.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

რექტორი
გურგენიძე დავით